დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 აგვისტოს №218 ბრძანებით დოკუმენტში ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 2022 წლის 10 ივნისის № 118682, 2022 წლის 25 ოქტომბრის №134334, 2022 წლის 4 ნოემბრის №135710, 2022 წლის 10 ნოემბრის N 136907 და 2022 წლის 28 ნოემბრის N139335, 2023 წლის 27 აპრილის №13599 ბრძანებებით

საერთაშორისო მობილობის პროგრამაში

მონაწილეობის წესი

2022 წელი

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება 3

მუხლი 3. სტუდენტთა შერჩევის პროცედურა 4

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცედურა 7

მუხლი 5. ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის პროცედურა 9

მუხლი 6. სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება 12

მუხლი 7. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება 13

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესი ადგენს შპს ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ საერთაშორისო მობილობის პროგრამით სარგებლობასთან დაკავშირებულ წესსა და პირობებს. საერთაშორისო მობილობის პროგრამის ხანგრძლივობა და შეთავაზებული სტიპენდიის მოცულობა განისაზღვრება რექტორის ბრძანების საფუძველზე.

2. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ბაკალავრიატის (II - VII სემესტრის), მაგისტრატურის (II, III სემესტრის), ასევე ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (II-X სემესტრის) აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრების საშუალო შეწონილი ქულა არის მინიმუმ 2,5. პერსონალის შემთხვევაში, საერთაშორისო მობილობის კონკურსში ჩართვის უფლება აქვს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე ნებისმიერ პირს, რომლის წლიური საშუალო შეფასებაც 4.0-ზე მაღალია და ადმინისტრაციის ნებისმიერ თანამშრომელს.

3. საერთაშორისო მობილობა ხორციელდება სტუდენტების შემთხვევაში სწავლის, აკადემიური პერსონალის მიერ სწავლების, ხოლო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ტრენინგის გავლის მიზნით.

4. უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო მობილობის პროგრამით სარგებლობის უფლება ერთი საგანმანათლებლო საფეხურის ფარგლებში სტუდენტებს ეძლევათ მხოლოდ ერთხელ. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში, მობილობის პროგრამაში განმეორებითი მონაწილეობა შესაძლებელია იმავე მიზნით ბოლო განხორციელებული მობილობიდან 3 თვის თავზე.

მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება

1. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით და ამტკიცებს საკონკურსო კომისიას თითოეული შესარჩევი ეტაპისთვის.

2. რექტორის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტში აისახება საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის მიზნით კონკურსის ჩატარების წესი, ვადა, საკონკურსო პირობები და კონკურსანტთა შერჩევის კრიტერიუმები. რექტორის სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განისაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები[1], რომლის დაკმაყოფილებაც განაპირობებს კონკურსანტის უპირატეს მდგომარეობას სხვა აპლიკანტებთან შედარებით.

[1] აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, შესაძლებელია უპირატესობა მიენიჭოს იმ პირს, რომელიც არის ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი და/ანიკავებს პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციას თუ

3. კონკურსის პირობები საჯაროდ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე და სოციალურ ქსელში. დამატებით, სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ სასწავლო ბაზისა და სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში ტარდება საინფორმაციო შეხვედრები. საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის მსურველებს ასევე შეუძლიათ კონსულტაციისთვის მიმართონ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

მუხლი 3. სტუდენტთა შერჩევის პროცედურა

1. საერთაშორისო მობილობით დაინტერესებული სტუდენტები რეგისტრაციისთვის ავსებენ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ შედგენილ ელექტრონულ სარეგისტრაციო ფორმას.

2. რეგისტრირებულ სტუდენტებს, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ კონკურსში მონაწილეობის პირობებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური იწვევს პირველ შესარჩევ ეტაპზე, რაც გულისხმობს ინგლისური ენის გამოცდას პირისპირ ან დისტანციური პლატფორმების გამოყენებით.

3. სტუდენტს მოეთხოვება ინგლისურ ენაში B2 დონის ცოდნის დადასტურება, *ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო დოკუმენტის (CEFR)* შესაბამისად[2], ოთხ ენობრივ კომპეტენციაში: მოსმენა, წერა, კითხვა, ლაპარაკი.

4. კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადასვლის წინაპირობაა გამოცდით განსაზღვრული მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 60-ის დაგროვება. თითოეული სტუდენტისთვის გამოცდა გრძელდება 2 საათისა და 15 წუთის განმავლობაში, ნახევარსაათიანი შესვენების გათვალისწინებით.

მოსმენა (მაქს. 25 ქულა) – 20 წუთი
წერა (მაქს. 25) – 30 წუთი
კითხვა (მაქს. 25 ქულა) – 40 წუთი

შესვენება: 30 წუთი

ლაპარაკი (მაქს. 25 ქულა) – 15 წუთი ერთ წყვილთან

ჯამური ქულა: მინ.60/100

5. ინდივიდუალური შეთანხმების და/ან მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ინგლისური ენის საგამოცდო ტესტის შედგენა შეიძლება, დაევალოს უნივერსიტეტში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალს და/ან გარე ექსპერტს.

სხვა სტუდენტის შემთხვევაში, შეიძლება დადგინდეს კონკრეტული GPA ქულა და სხვ. ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში, კონკრეტული საჭიროების და უნივერსიტეტის სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით, შესაძლებელია მობილობა გამოცხადდეს კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის ფარგლებშიც.

6. ინგლისური ენის საგამოცდო ტესტები წინასწარ წარედგინება საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, ცალკეული კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმები კი მტკიცდება რექტორის მიერ და უზიარდება საკონკურსო კომისიას.

7. ინგლისური ენის გამოცდას წარმართავს პირველი შესარჩევი ეტაპისთვის რექტორის ბრძანების საფუძველზე წინასწარ დამტკიცებული საკონკურსო კომისია, რომელიც კომპლექტდება ინგლისური ენის არანაკლებ 2 სპეციალისტისგან. საჭიროების შემთვხვევაში, შესაძლოა მოწვეულ იქნას გარე ექსპერტიც.

8. კითხვისა და მოსმენის ნაწილი ავტომატურად მოწმდება წინასწარ განსაზღვრული სწორი პასუხების საფუძველზე, ხოლო წერითი და ზეპირი კომპეტენციის შეფასება ხდება საგამოცდო კომისიის მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

9. სტუდენტი, რომელიც წარადგენს ინგლისური ენის მოთხოვნილ დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, თავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდიდან და ავტომატურად გადადის კონკურსის მომდევნო ეტაპზე. წარმოდგენილი სასერტიფიკატო ქულა CEFR სტანდარტით B2 დონის შესაბამისად უნდა იყოს:

ტესტი	B2 დონის შესაბამისი მინ. ქულა
IELTS	5.5
Toefl iBT	72
Toelf PBT	543
Cambridge English Scale Score for B2 First (formerly known as FCE)	160

10. საერთაშორისო სტუდენტური მობილობისთვის შესარჩევი კონკურსის მეორე და საბოლოო ეტაპი გულისხმობს ინგლისურენოვან გასაუბრებას, რომელიც წარიმართება პირისპირ ან დისტანციური პლატფორმის გამოყენებით.

11. გასაუბრებაზე ფასდება კონკურსანტთა მოტივაცია აკადემიური, პროფესიული და პიროვნული განვითარების კუთხით, რომელთაგან თითოეულს ენიჭება მაქსიმუმ 3 (სამი) ქულა შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

მოტივაცია აკადემიური განვითარების ჭრილში:

0 - კონკურსანტი არ საუბრობს საკუთარ მოტივაციაზე აკადემიური განვითარების ჭრილში ან დემოტივირებულია.

1 - კონკურსანტი ნაკლებად საუბრობს მის მოტივაციაზე აკადემიური განვითარების ჭრილში და/ან არ ესმის საერთაშორისო მობილობის მნიშვნელობა აკადემიური უნარ-ჩვევების შეძენის ან დახვეწის თვალსაზრისით.

2 - კონკურსანტი დამაჯერებლად საუბრობს მის მოტივაციაზე აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მხრივ, თუმცა აქცენტს მხოლოდ საბაზისო „მყარ უნარებზე" აკეთებს და ნაკლებად იაზრებს საერთაშორისო მობილობის მნიშვნელობას კრიტიკული თუ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისთვის.

3 - კონკურსანტს სრულად აქვს გაცნობიერებული საერთაშორისო მობილობის მნიშვნელობა მისი აკადემიური განვითარებისთვის და ამასთან ფიქრობს გამგზავნი უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში ხელახალი ჩაბმის შემდგომ მობილობისას შეძენილი/განვითარებული აკადემიური უნარ-ჩვევების გამოყენებადობაზე.

მოტივაცია პროფესიული განვითარების ჭრილში:

0 - კონკურსანტი არ საუბრობს საკუთარ მოტივაციაზე პროფესიული განვითარების ჭრილში ან დემოტივირებულია.

1 - კონკურსანტი ნაკლებად საუბრობს მის მოტივაციაზე პროფესიული განვითარების ჭრილში და/ან არ ესმის საერთაშორისო მობილობის მნიშვნელობა მისი მომავალი კარიერისთვის.

2 - კონკურსანტი დამაჯერებლად საუბრობს მის მოტივაციაზე ზოგადი პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, თუმცა არ აქვს კარიერული წინსვლის კონკრეტული ხედვა.

3 - კონკურსანტი სრულად იაზრებს საერთაშორისო მობილობის მნიშვნელობას მისი კარიერული მიზნების მიღწევის გზაზე და ამასთან ფიქრობს სამშობლოში დაბრუნების შემდგომ პროფესიული თვალსაზრისით აღნიშნული გამოცდილების გამოყენებადობაზე.

მოტივაცია პიროვნული განვითარების ჭრილში:

0 - კონკურსანტი არ საუბრობს საკუთარ მოტივაციაზე პიროვნული განვითარების ჭრილში ან დემოტივირებულია.

1 - პიროვნულ განვითარებაზე საუბრისას, კონკურსანტი ზოგადი ტერმინებით შემოიფარგლება, არ ავლენს თვითრეფლექსიის უნარს და საერთაშორისო მობილობის გამოცდილებას საკუთარი მე-ს ჩამოყალიბების პროცესთან ვერ აკავშირებს.

2- კონკურსანტი დამაჯერებლად საუბრობს მის მოტივაციაზე პიროვნული განვითარების ჭრილში, თუმცა აქცენტს მხოლოდ პოზიტიურ გამოცდილებაზე აკეთებს და სრულად ვერ იაზრებს საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებული ცხოვრებისეული გამოწვევების არსს

3 - კონკურსანტი ავლენს ფსიქოლოგიურ მზადყოფნას გაუმკლავდეს და მოერგოს საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და მოტივირებულია თითოეული მათგანი „რბილ უნარებად“ გარდაქმნას (მედეგობა, დროის მენეჯმენტის უნარი, ინტერპერსონალური უნარები, ინოვაცია და კრეატიულობა, პირადი ჰიგიენა, ა.შ.)

12. მეორე შესარჩევი ეტაპისთვის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ წარდგენილი და რექტორის მიერ ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული გასაუბრების კომისია შედგება სამი წევრისგან. საბოლოო შეფასება (მაქს. 9 ქულა) გამოითვლება კომისიის წევრთა მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლითა და მათი დაჯამებით. კომისიაში აუცილებელი წესით წარმოდგენილნი არიან საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის თანამშრომელი და პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. მესამე წევრი კი შეიძლება იყოს სხვა ნებისმიერი ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობის მქონე პირი.

13. სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ერთმანეთთან კონკურენციაში არ შედიან. გამარჯვებულად ცხადდებიან პროგრამების მიხედვით ყველაზე მაღალი შეფასების მქონე კონკურსანტები, რომელთა რაოდენობაც რექტორის ბრძანების საფუძველზე წინასწარ განსაზღვრულ საკონკურსო პირობებზეა დამოკიდებული.

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცედურა

1. საერთაშორისო მობილობით დაინტერესებული აკადემიური პერსონალი ავსებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ შედგენილ ელექტრონულ სააპლიკაციო ფორმას.2. სრულყოფილად შევსებული განაცხადების ავტორებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური იწვევს პირველ შესარჩევ ეტაპზე, რაც გულისხმობს ინგლისური ენის გამოცდას პირისპირ ან დისტანციური პლატფორმების გამოყენებით.

3. აკადემიურ პერსონალს მოეთხოვება ინგლისურ ენაში C1 დონის ცოდნის დადასტურება, *ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო დოკუმენტის (CEFR)* შესაბამისად, ოთხ ენობრივ კომპეტენციაში: მოსმენა, წერა, კითხვა, ლაპარაკი.

4. კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადასვლის წინაპირობაა გამოცდით განსაზღვრული მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 60-ის დაგროვება. დამატებით დაწესებულია 15-ქულიანი ზღვარი, რომელიც აკადემიურმა პერსონალმა ოთხივე კომპეტენციაში უნდა გადალახოს. გამოცდა გრძელდება 2 საათისა და 15 წუთის განმავლობაში, ნახევარსაათიანი შესვენების გათვალისწინებით.

მოსმენა (მინ. 15/25 ქულა) – 20 წუთი
წერა (მინ. 15/25) – 30 წუთი
კითხვა (მინ. 15/25 ქულა) – 40 წუთი

შესვენება: 30 წუთი

ლაპარაკი (მინ. 15/25 ქულა) – 15 წუთი ერთ წყვილთან
ჯამური ქულა: მინ.60/100

5. ინდივიდუალური შეთანხმების და/ან მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ინგლისური ენის საგამოცდო ტესტის შედგენა შეიძლება, დაევალოს უნივერსიტეტში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალს და/ან გარე ექსპერტს.

6. ინგლისური ენის გამოცდას წარმართავს პირველი შესარჩევი ეტაპისთვის რექტორის ბრძანების საფუძველზე წინასწარ დამტკიცებული საკონკურსო კომისია, რომელიც კომპლექტდება ინგლისური ენის არანაკლებ 2 სპეციალისტისგან.

7. კითხვისა და მოსმენის ნაწილი ავტომატურად მოწმდება წინასწარ განსაზღვრული სწორი პასუხების საფუძველზე, ხოლო წერითი და ზეპირი კომპეტენციის შეფასება ხდება საგამოცდო კომისიის მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

8. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდება ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელსაც აქვს ნებისმიერ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლების არანაკლებ ერთწლიანი სტაჟი; მოპოვებული აქვს ინგლისური ენის ფილოლოგის ან ინგლისურენოვანი ბაკალავრის/მაგისტრის/დოქტორის ხარისხიდა/ან ფლობს ინგლისური ენის მოთხოვნილ დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს. უკანასკნელ შემთხვევაში, წარმოდგენილი სასერტიფიკატო ქულა CEFR სტანდარტით C1 დონის შესაბამისად უნდა იყოს:

ტესტი	C1 დონის შესაბამისი მინ. ქულა
IELTS	7.0
Toefl iBT	95
Toelf PBT	627
Cambridge English Scale Score for C1 Advanced (formerly known as CAE)	180

9. საერთაშორისო მობილობისთვის შესარჩევი კონკურსის მეორე და საბოლოო ეტაპი გულისხმობს

ინგლისურენოვანი საჩვენებელი ლექციის ჩატარებას რექტორის მიერ წინასწარ დამტკიცებული კომისიის წინაშე, შემდეგი შემადგენლობით:

შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში მონაწილეობს დეკანი ან პროგრამის ხელმძღვანელი, რექტორის ბრძანებით მტკიცდება კომისიის განსხვავებული შემადგენლობა.

10. საჩვენებელი ლექციის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სასწავლო კურსის თემატიკის ცოდნა;
- თანმიმდევრული ლაპარაკი;
- აუდიტორიასთან კონტაქტი;
- გამოყენებული სწავლების მეთოდები;
- შეკითხვებზე პასუხის გაცემის უნარი.

თითოეული კრიტერიუმი ფასდება 3-ბალიან სკალაზე, სადაც 3 მაქსიმალური, ხოლო 1 მინიმალური შეფასებაა (3 - კარგი; 2 - დამაკმაყოფილებელი; 1-ცუდი). სასურველია თითოეულ ქულას ახლდეს მოკლე განმარტება/აღწერა.

11. საჩვენებელი ლექცი ფასდება კომისიის სამივე წევრის მიერ კონკურსანტისთვის მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშების გზით და შეადგენს მაქსიმუმ 15 ქულას.

12. გამარჯვებულად ცხადდებიან პროგრამების მიხედვით ყველაზე მაღალი შეფასების მქონე კონკურსანტები, რომელთა რაოდენობაც რექტორის ბრძანების საფუძველზე წინასწარ განსაზღვრულ საკონკურსო პირობებზეა დამოკიდებული. შეზღუდული კვოტის შემთხვევაში, იმარჯვებს პროგრამებს შორის ყველაზე მაღალი ქულით შეფასებული აკადემიური პერსონალი.

მუხლი 5. ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის პროცედურა

1.საერთაშორისო მობილობით დაინტერესებული ადმინისტრაციული პერსონალი ავსებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ შედგენილ ელექტრონულ სააპლიკაციო ფორმას

2. სრულყოფილად შევსებული განაცხადების ავტორებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური იწვევს პირველ შესარჩევ ეტაპზე, რაც გულისხმობს ინგლისური ენის გამოცდას პირისპირ ან დისტანციური პლატფორმების გამოყენებით.

3. ადმინისტრაციულ პერსონალს მოეთხოვება ინგლისურ ენაში B2 დონის ცოდნის დადასტურება, *ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო დოკუმენტის (CEFR)* შესაბამისად, ოთხ ენობრივ კომპეტენციაში: მოსმენა, წერა, კითხვა, ლაპარაკი.

4. კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადასვლის წინაპირობაა გამოცდით განსაზღვრული მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 60-ის დაგროვება. დამატებით დაწესებულია 15-ქულიანი ზღვარი, რომელიც ადმინისტრაციულმა პერსონალმა ოთხივე კომპეტენციაში უნდა გადალახოს. თითოეული თანამშრომლისთვის გამოცდა გრძელდება 2 საათისა და 15 წუთის განმავლობაში, ნახევარსაათიანი შესვენების გათვალისწინებით.

მოსმენა (მინ. 15/25 ქულა) – 20 წუთი
წერა (მინ. 15/25) – 30 წუთი
კითხვა (მინ. 15/25 ქულა) – 40 წუთი
შესვენება: 30 წუთი
ლაპარაკი (მინ. 15/25 ქულა) – 15 წუთი ერთ წყვილთან
ჯამური ქულა: მინ.60/100

5. ინდივიდუალური შეთანხმების და/ან მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ინგლისური ენის საგამოცდო ტესტის შედგენა შეიძლება, დაევალოს უნივერსიტეტში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალს და/ან გარე ექსპერტს.

6. ინგლისური ენის გამოცდას წარმართავს პირველი შესარჩევი ეტაპისთვის რექტორის ბრძანების საფუძველზე წინასწარ დამტკიცებული საკონკურსო კომისია, რომელიც კომპლექტდება ინგლისური ენის არანაკლებ 2 სპეციალისტისგან.

7. კითხვისა და მოსმენის ნაწილი ავტომატურად მოწმდება წინასწარ განსაზღვრული სწორი პასუხების საფუძველზე, ხოლო წერითი და ზეპირი კომპეტენციის შეფასება ხდება საგამოცდო კომისიის მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

8. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდება ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი, რომელსაც აქვს ნებისმიერ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლების მინიმუმ ერთწლიანი სტაჟი; მოპოვებული აქვს ინგლისური ფილოლოგიის ან ინგლისურენოვანი ბაკალავრის/მაგისტრის/დოქტორის ხარისხი; გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უმაღლესი განათლების ნებისმიერ საფეხურზე აქვს საზღვარგარეთ ინგლისურ ენაზე სწავლის მინიმუმ ერთსემესტრიანი გამოცდილება და/ან ფლობს ინგლისური ენის მოთხოვნილ დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს. უკანასკნელ შემთხვევაში, წარმოდგენილი სასერტიფიკატო ქულა CEFR სტანდარტით B2 დონის შესაბამისად უნდა იყოს:

ტესტი	B2 დონის შესაბამისი მინ. ქულა

IELTS	5.5
Toefl iBT	72
Toelf PBT	543
Cambridge English Scale Score for B2 First (formerly known as FCE)	160

9. საერთაშორისო მობილობისთვის შესარჩევი კონკურსის მეორე და საბოლოო ეტაპი გულისხმობს ინგლისურ ენაზე ტრენინგ მობილობის გეგმის პრეზენტაციას რომელიც წარიმართება პირისპირ ან დისტანციური პლატფორმის გამოყენებით, რექტორის მიერ წინასარ დამტკიცებული კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობაშიც არიან: რექტორი, ადმინისტრაციული პერსონალის უშუალო ხელმძღვანელი ან შესაბამისი მიმართულების ვიცე-რექტორი
(ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენელი.

10. ტრენინგის გეგმა ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- დაგეგმილი შეხვედრების და აქტივობების აქტუალობა და მნიშვნელობა;
- მობილობის გეგმის შესაბამისობა უნივერსიტეტის სტრატეგიასთან და პრიორიტეტებთან;
- ინგლისურ ენაზე თანმიმდევრული ლაპარაკი;
- მოსალოდნელი შედეგების ღირებულება სამოქმედო გეგმის თვალსაზრისით და/ან მობილობის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა;
- მობილობის ფარგლებში დასახული გეგმის განხორციელებადობა (თანამშრომლის კვალიფიკაციისა და სამსახურეობრივი კომპეტენციების გათვალისწინებით)

თითოეული კრიტერიუმი ფასდება 3-ბალიან სკალაზე, სადაც 3 მაქსიმალური, ხოლო 1 მინიმალური შეფასებაა (3 - კარგი; 2 - დამაკმაყოფილებელი; 1-ცუდი). სასურველია თითოეულ ქულას ახლდეს მოკლე განმარტება/აღწერა.

11. ტრენინგ გეგმა ფასდება კომისიის სამივე წევრის მიერ კონკურსანტისთვის მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშების გზით და შეადგენს მაქსიმუმ 15 ქულას.

12. გამარჯვებულად ცხადდებიან სამსახურების მიხედვით ყველაზე მაღალი შეფასების მქონე კონკურსანტები, რომელთა რაოდენობაც რექტორის ბრძანების საფუძველზე წინასწარ განსაზღვრულ საკონკურსო პირობებზეა დამოკიდებული. შეზღუდული კვოტის შემთხვევაში, იმარჯვებს სამსახურებს შორის ყველაზე მაღალი ქულით შეფასებული ადმინისტრაციული პერსონალი.

მუხლი 6. სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება

1. კონკურსის გამარჯვებულების გამოვლენის შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური შერჩეულ სტუდენტებს უზიარებს მასპინძელი უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი საგნების კატალოგს.

2. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის კოორდინაციის ქვეშ, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის ტექნიკური მხარდაჭერით ადგენს თავსებადობას მასპინძელი უნივერსიტეტის კურსებსა და სტუდენტის მიერ ადგილობრივად გასავლელ სასწავლო კურსებს შორის.

3. სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ამუშავებს სასწავლო ხელშეკრულების პირველად ვერსიას, რომელიც სტუდენტს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ეგზავნება. დამატებით, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური სტუდენტებს აძლევს რეკომენდაციას, კონსულტაცია გაიარონ პარტნიორი უნივერსიტეტის საერთაშორისო მობილობის კოორდინატორთან და მათ აღნიშნული კონტაქტის დამყარებაში ეხმარება.

4. კონსულტაციების შედეგად სტუდენტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას და მასთან შეთანხმებით უნივერსიტეტში ფორმდება სასწავლო ხელშეკრულების შიდა დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილია როგორც პარტნიორ უნივერსიტეტში გასავლელი სასწავლო კურსები, ისე ადგილობრივად მათი შესატყვისი სასწავლო კურსები, შესაბამისი კრედიტების მითითებით. აღნიშნულ დოკუმენტს ხელს აწერს პროგრამის ხელმძღვანელი, დარგის ექსპერტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი/წარმომადგენელი, რითაც ევროპის უნივერსიტეტი პასუხისმგებლობას იღებს სტუდენტის დაბრუნების შემდგომ მის მიერ პარტნიორ უნივერსიტეტში დაგროვილი კრედიტების აღიარებაზე, დოკუმენტში გაწერილი სქემის შესაბამისად.

5. პარტნიორ უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდში სასწავლო ხელშეკრულებაში აუცილებლობით გამოწვეული ნებისმიერი ტიპის ცვლილების განსახორციელებლად სტუდენტი უკავშირდება ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს და აწვდის ინფორმაციას ცვლილების განხორციელების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი მტკიცებულება. ფაკულტეტი გადაწყვეტილებას იღებს სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით.

6. საგნების შერჩევა-აღიარების საკითხის მოწესრიგების მიღმა, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური პასუხისმგებელია პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ სხვა მოთხოვნილი დოკუმენტაციის მომზადებასა და დროულად მიწოდებაზე, ისევე როგორც სტუდენტის მასპინძელ უნივერსიტეტში გამგზავრებამდე მის სრულ ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე.

7. სტუდენტი თავის მხრივ ვალდებულია საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს გაუზიაროს საერთაშორისო მობილობისთვის საჭირო ყველა პირადი დოკუმენტის ასლი და მითითებების მიხედვით, შეავსოს მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი სააპლიკაციო ფორმა/ფორმები.

8. პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, სტუდენტს ევროპის უნივერსიტეტში უნარჩუნდება აქტიური სტატუსი და იგი იხდის აღიარებული კრედიტების საფასურს.

9. დაბრუნების შემდგომ, სტუდენტს მოეთხოვება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სპეციალურად შემუშავებული კითხვარის შევსება, რომლის მიზანია საერთაშორისო აკადემიური მობილობის ეფექტიანობის შეფასება.

მუხლი 7. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება

1. საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობისთვის შერჩეულ აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალს უფორმდება სწავლების/ტრენინგის ხელშეკრულების გარე და შიდა დოკუმენტები. პირველი მათგანი მასპინძელ უნივერსისტეტში ჩასატარებელი სალექციო საათებისა თუ ტრენინგ გეგმის განსაზღვრაზე, მეორე კი გამოცდილების გაზიარების მიზნით, ევროპის უნივერსიტეტში მობილობის შემდგომი აქტივობების დაგეგმვაზე.

2. ხელშეკრულებების ხელმოწერით, კონკურსის წესით შერჩეული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი პასუხისმგებლობას იღებს გამგზავნ და მასპინძელ უნივერსიტეტებში ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებაზე.

3. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური პასუხისმგებელია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადებასა და პარტნიორი უნივერსიტეტისთვის დროულად მიწოდებაზე.

4. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი თავის მხრივ ვალდებულია საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს გაუზიაროს საერთაშორისო მობილობისთვის საჭირო ყველა პირადი დოკუმენტის ასლი და მითითებების მიხედვით, შეავსოს მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი სააპლიკაციო ფორმა/ფორმები.

5. დაბრუნების შემდგომ, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს მოეთხოვება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სპეციალურად შემუშავებული კითხვარის შევსება, რომლის მიზანია საერთაშორისო აკადემიური მობილობის ეფექტიანობის შეფასება.